

დანართი \_\_\_\_\_  
აქციის დანართი № \_\_\_\_\_

28-12-2018 წ.

ქ. \_\_\_\_\_

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

გადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთ მოცემულ „აქციის“ პირობებს:

• **აქციის დასახელება:** "Silk TV ყველა ტელევიზორზე"

• **აქციის პირობები:**

1. "1. "Silk TV ყველა ტელევიზორზე" აქციის (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, ოპტიკური მომსახურებების მიმღები აბონენტები შეძლებენ ისარგებლონ დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილი) მომსახურებით, სააბონენტო გადასახდელის - 6 (ექვსი) ლარის გადახდის პირობით 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში, ასევე დამატებითი STB-ს ინსტალაციის მომსახურებით სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში და 1 (ერთი) თემატური ტვ პაკეტით სილქ ტვ-ის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში 1 (ერთი) თვის განმავლობაში, წინამდებარე "აქციის" პირობებით.

**2. "აქციის" პირობებით შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ შემდეგი მომსახურებ(ებ)ის/კომბინაცი(ებ)ს მიმღებმა ან მიღების მსურველმა აბონენტებმა:**

2.1. ცალკე მდგომი ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების მიმღები აბონენტები, ან ნებისმიერი კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურებას, მათ შორის სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების) მიმღები და მიღების

მსურველი აბონენტები, ასევე აბონენტები, რომლებიც სილქ ტვ მომსახურების სხვა მომსახურებებზე დამატების გზით ჩაერთვებიან აღნიშნულ კომბინაციებში.

2.2. მომსახურებების მიმღები და მიღების მსურველი აბონენტები, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადის დაწყებამდე დარეგისტრირდებიან დამატებით STB-ზე (დამატებითი სააბონენტო წერტილი) და აქციის პირობების ამოქმედებამდე არ მოხდება მომსახურების ინსტალაცია.

3. იმისთვის, რომ მე-2 პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა/ აბონენტებმა ისარგებლონ "აქციის" პირობებით, მათ უნდა დააფიქსირონ ზეპირი ან წერილობითი განაცხადი "აქციის" პირობებით სარგებლობაზე.

**4. "აქციის" პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2017 წლის 27 მარტიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

**5. "აქციის" პირობით რეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის ვადა განისაზღვრება - 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინსტალაციის შემთხვევაში, აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-8 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.**

**6. "აქციის" მოქმედების ვადა განისაზღვრება აბონენტისთვის "აქციის" გააქტიურებიდან - 24 (ოცდაოთხი) თვით.**

7. აბონენტები, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში დაიმატებენ დამატებით STB-ს (მაშინაც კი, თუ STB-ს ინსტალაცია განხორციელდება აქციის ფარგლებში ინსტალაციის პერიოდის დასრულების შემდეგ), ისარგებლებენ ფასდაკლებით დამატებითი STB-ს სააბონენტო გადასახდელზე. პირობა გავრცელდება აბონენტის სააბონენტო ანგარიშზე არსებულ ყველა დამატებით STB-ზე (რომელიც აბონენტმა ჩაირთო აქციის ფარგლებში, ან რომელითაც უკვე სარგებლობდა აქციაში ჩართვამდე, ასევე რომელსაც დაიმატებს აქციის მოქმედების (მე-6 პუნქტი) პერიოდში).

8. აქციის ფარგლებში, დამატებითი STB-ს ინსტალაციის ღირებულება გათვალისწინებული იქნება დამატებითი STB-ს სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.

9. აქციაში ჩართული აბონენტი შეძლებს ისარგებლოს 1 თემატური პაკეტით 1 თვის განმავლობაში სილქ ტვ-ს ძირითადი პაკეტის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში (პირობა მოქმედებს როგორც აქციის ფარგლებში დამატებულ, ასევე უკვე გააქტიურებულ თემატურ პაკეტზე). აღნიშნული პირობა არ გავრცელდება სილქ ტვ "დელუქს" პაკეტზე. აქციის პირობით თემატური პაკეტი აბონენტს გაუაქტიურდება მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ STB-ს (ერთად ან ცალ-ცალკე) დაიმატებს. აქციის ფარგლებში თემატური პაკეტით სარგებლობისთვის აბონენტმა უნდა დააფიქსიროს მოთხოვნა შემდეგნაირად: სილქ ტვ-ის არსებულმა აბონენტებმა დამატებითი STB-ზე რეგისტრაციისას ან შემდეგ - მე-6 პუნქტით განსაზღვრულ (აქციის მოქმედების) პერიოდში ნებისმიერ დროს, ახალმა აბონენტებმა კი დამატებითი STB-ს ინსტალაციის შემდეგ - მე-6 პუნქტით განსაზღვრულ (აქციის მოქმედების) პერიოდში ნებისმიერ დროს. აქციის პირობით თემატური პაკეტის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდს; თუ აქციის

პირობით შერჩეული თემატური პაკეტის მოქმედების ვადა აღმატება მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდს, აღნიშნული პერიოდის ამოწურვის შემდეგ შეიზღუდება ქციის პირობები.

10. აქციით განსაზღვრული პირობით შესაძლებელია სილქ ტვ-ის ნებისმიერი რაოდენობის დამატებითი STB-ს ინსტალაცია (ერთდროულად ან ცალ-ცალკე). დამატებითი STB-ების ცალ-ცალკე დამატების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა დაიწყება აქციის ფარგლებში პირველად დამატებული STB-ს ინსტალაციის დღიდან.
11. აქციაში ჩართული აბონენტის მიერ, თუნდაც ერთი დამატებითი STB-ს გაუქმება, იწვევს აქციის პირობების გაუქმებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი STB დაიმატა აბონენტმა აქციის ფარგლებში ან რომელ STB-ს აუქმებს.
12. აქციის პირობებით ვერ ისარგებლებენ ისეთი აბონენტები, რომლებსაც აქციის ამოქმედების თარიღის შემდეგ გაუქმებული აქვთ თუნდაც ერთი დამატებითი STB.
13. აქციაში ჩართული აბონენტის მიერ, აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტის გაუქმების შემთხვევაში, აბონენტს შეუწარმუნდება მე-7 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობები.
14. აბონენტის მიერ აქციის პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტს დაერიცხება დამატებითი STB-ს სტანდარტული ღირებულება. აბონენტის მიერ აქციის პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მე-6 პუნქტით განსაზღვრული (აქციის მოქმედების) პერიოდის ამოწურვისას, ან თემატურ პაკეტზე აქციის მოქმედების (1 თვის) პერიოდის ამოწურვის შემთხვევაში, აბონენტს შეუწარმუნდება თემატური პაკეტი და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება.
15. აქციის პირობებით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტს შესაძლებლობა აქვს უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე.
16. შეთავაზების მოქმედების პერიოდში არ იზღუდება შეთავაზების პირობით ჩართული მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების შესაძლებლობა. მომსახურებ(ებ)ის აღდგენის შემდეგ გაგრძელდება მომსახურებ(ებ)ის მიწოდება შეთავაზების პირობებით, თუმცა დროებით შეჩერების პერიოდში აქციის ვადა არ ჩერდება.
17. შეზღუდულია აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა.
18. აქციაში ჩართული აბონენტის მიერ სილქ ტვ-ს ძირითადი პაკეტის "დელუქ HD" პაკეტით ცვლილებისას, აბონენტს გაუქმდება აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტი. აღნიშნული ქმედების შემდეგ, კვლავ სილქ ტვ-ს სხვა (აქციასთან თავსებადი) ძირითად პაკეტზე გადასვლისას, აბონენტს ეზღუდება აქციის პირობების ხელახლა გააქტიურების შესაძლებლობა.
19. აქციაში ჩართული აბონენტის მიერ სილქ ტვ-ს ძირითადი პაკეტი "დელუქ HD"-ს სხვა პაკეტით ცვლილებისას, აბონენტს შესაძლებლობა აქვს გაიაქტიუროს აქციის ფარგლებში გათვალისწინებული თემატური პაკეტი.
20. **მომსახურების მიწოდების მისამართის ცვლილებისას**, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დაარეგისტრირებს დამატებით STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილი), აღნიშნული მომსახურება დაარეგისტრირდება აქციის პირობებით.
21. თუ ახალ მისამართზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, აბონენტი ისარგებლებს მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით. ხოლო, თუ ახალ მისამართზე მომსახურებების ინსტალაცია განხორციელდება აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-8 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.
22. **მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიის ცვლილებისას**, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი რეგისტრირდება დამატებით STB-ზე (დამატებითი სააბონენტო წერტილი), აღნიშნული მომსახურება დაარეგისტრირდება აქციის პირობებით.
23. თუ ახალ ტექნოლოგიაზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე აბონენტი ისარგებლებს მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებით. ხოლო, თუ ახალ ტექნოლოგიაზე მომსახურებების ინსტალაცია განხორციელდება აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტი ვერ ისარგებლებს მე-8 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.

მომსახურების დასახელება		
პაკეტის მახასიათებლები	სტანდარტული ფასი	ფასი "აქციის" ფარგლებში
დამატებით STB (დამატებით სატელევიზიო წერტილი) სააბონენტო გადასახდელი	10 ლარი	6 ლარი
დამატებით STB (დამატებით სატელევიზიო წერტილი) ინსტალაცია	50 ლარი	გათვალისწინებულია დამატებით STB-ს სააბონენტო გადასახადში

შენიშვნა: \_\_\_\_\_

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_